განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27.04.2022

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 05.05.2022

თბილისი
2022

## 1. ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## 2. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ფარმაციის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ფარმაცია - 0916 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 2016 წლის 12 ივლისის№43, გადაწყვეტილებით |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ფანცულაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაკა ჯავახია, სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

**ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს №43 გადაწყვეტილებით 2016 წლის 12 ივლისს,თუმცა აკრედიტაციის დღიდან დღემდე სტუდენტი არ მიუღიათ, ამდენად ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც წარმოადგენა უნივერსიტეტმა. პროგრამა სტანდარტულად მოიცავს 120 კრედიტს და პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელია (4 სემესტრი): პროგრამის ძირითად საგნებს ეთმობა – 102 ECTS, მათ შორის-სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 ECTS და არჩევით საგნებს – 18 ECTS, რომლებსაც სტუდენტი ირჩევს შეთავაზებული არჩევითი საგნების 60 ECTS-დან. 1 კრედიტი=25 სთ.
თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 29 მარტის ბრძანების საფუძველზე (MES 9 22 0000320456) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ია ფანცულაია (თავმჯდომარე); მაკა ჯავახია (წევრი). ექსპერტთა ჯგუფს დაევალა "ფარმაციის" სამაგისტრიო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა და გადმოგვეგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, მოხდა კიდევ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვნა ცენტრიდან და აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგად შემოწმებული იქნა 1, 2 და 4 სტანდარტები. გაცემული იქნა 3 რეკომენდაცია და რჩევები.

**სტანდარტი 1- სრულად შესაბამისია;**

**სტანდარტი 2- მეტწილად შესაბამისია;**

**სტანდარტი 4- სრულად შესაბამისია**

- **რეკომენდაციები**

2.2 რეკომენდებულია ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ფუნდამენტური სასწავლო კურსები: ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია;
2.3 რეკომენდებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა ორგანიზაციებთან
2.6 რეკომენდებულია სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვრი
რეკომენდირებულია სილაბუსში „ ეპიდემიოლოგია და სოციალური კვლევის მეთოდები'' გაიწეროს კურსის თემატიკა;
4.1 რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი ფარმაცევტულ დისციპლინებშიდოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია პროგრამაში არსებობდეს ჩანაწერი მობილობასთან დაკავშირებული პროცედურის შესახებ
- სასურველია პროგრამაში ჩაიწეროს, კონკრეტულად სპეციალობის რომელ საგნებში ტარდება გასაუბრება.
- სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხებები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი თვიშეფასებიდან და დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის მიზანს ცვლილება არ განუცდია და რჩება ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, როგორც ქონდათ. კერძოდ პროგრამის მიზანია „პრაქტიკული და კლინიკური ფარმაციის სფეროში გლობალურ და ადილობრივ გამოწვევებზე მოპასუხე თანამედროვე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა სამედიცინო ფარმაკოლოგიის, კლინიკური ფარმაციისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის, კლინიკური ტოქსიკოლოგიის, პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული ზრუნვისა და სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის, აგრეთვე, კლინიკური კვლევების მეთოდების შესახებ". გარდა ამისა პროგრამაში აღნიშნულია, რომ მაგისტრანტი შეძლებს დამოუკიდებლად სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს წარმართვას შესაბამის სფეროში. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის მიერ მითითებულია, რომ პროგრამის დამთავრების შედეგად ფარმაცევტი გააცნობიერებს კარგი ფარმაცევტული პრაქტიკის მთავარ მოთხოვნებს (Good Pharmacy Practice), რაც დაეხმარება მას და სამედიცინო პერსონალს დაავადების დადებითი კლინიკური გამოსავლის მიღწევაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასება,<br>• პროგრამა,<br>• სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ (10.04.2019) "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" დანართი #1-ის შესაბამისად ჩამოყალიბდა **ცოდნა და გაცნობიერების, უნარისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სახით.**

თითოეული კომპეტენცია გაწერილია დეტალურად და ასახავს თანამედროვე ფარმაცევტულ სფეროში მაგისტრის დონეზე მისაღებ საჭირო, აუცილებელ და სასურველი ცოდნისა თუ უნარების ნაკრებს. კერძოდ, პროგრამის ათვისების შემდეგ კურსადმთავრებული შეძლებს გამოიყენოს „ღრმა და სისტემური ცოდნა მედიკამენტების ძირითადი ქიმიური და ფარმაკოლოგიური ჯგუფების, მათი ორგანიზმში შეყვანის გზების, ფარმაკოკინეტიკის, ფარმაკოდინამიკის, მედიკამენტების გვერდით ეფექტების და თერაპიული მნიშვნელობის შესახებ“.

| |
|---|
| უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა ცხრილი, სადაც თითოეული სწავლის შედეგი ფასდება შესაბამისი მეთოდით და მასზე პასუხისმგებელია გარკვეული პირი. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br>თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით მაგისტრატურაზე სტუდენტი არ ჰყოლიათ და აპირებენ პროგრამის რებრენდინგს, რაც თავისთავად გამოიწვევს პროგრამაში გარკვეულ ცვლილებებს.<br>რადგან პროგრამის სახელწოდება ზოგადია „ფარმაცია“ და პროგრამის წინაპირობად განსაზღვრულია არა მარტო ფარმაციის ბაკალავრები, არამედ საექთნო საქმის, ოკუპაციური მედიცინის, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის ბაკალავრები, მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი განათლების მქონე პირები, აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ამ დარგის ფუნდამენტური სასწავლო კურსების დამატება როგორიცაა ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამა,<br>• სილაბუსები,<br>• თვითშეფასება |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდებულია ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ფუნდამენტური სასწავლო კურსები: ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, ფარმაციის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა B2 დონე) ჩაბარებისა და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შედეგად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება შესაძლებელია საერთაშორისო ენის სერტიფიკატის წარდგენით (TOEFL (87), IELTS (6.5) ან სხვა B2 დონის შესაბამისი შედეგით) ან უნივერსიტეტის ინსტიტუციური გამოცდის 70%-იანი ზღვარის გადალახვით.<br>ფარმაციის სპეციალიზაციის მიმართულებით მიიღება ფარმაციის, საექთნო საქმის, ოკუპაციური მედიცინის, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის ბაკალავრები, |

მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი განათლების მქონე აპლიკანტები, რომლებიც ეროვნულ გამოცდებს აბარებენ ქვეყანაში დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია პროგრამაში არსებობდეს ჩანაწერი მობილობასთან დაკავშირებული პროცედურის შესახებ
- ✓ სასურველია პროგრამაში ჩაიწეროს, კონკრეტულად სპეციალობის რომელ საგნებში ტარდება გასაუბრება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მი-საღწევად; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კრედიტების გაანგარიშებისას ნაკლებად არის გათვალისწინებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა, რადგან უმეტეს კურსებს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს: პროგრამის ძირითად საგნებს –102 ECTS, მათ შორის-სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 ECTS და არჩევით საგნებს – 18 ECTS, რომლებსაც სტუდენტი ირჩევს შეთავაზებული არჩევითი საგნების 60 ECTS-დან. 1 კრედიტი=25 სთ.

მაგისტრანტი შეთავაზებული 60 ECTS არჩევითი კრედიტიდან ირჩევს 18 ECTS კრედიტს, მათ შორის 6 ECTS კრედიტს მეორე სემესტრში. ამ სემესტრის არჩევით ბლოკში მოწოდებულია 24 ECTS კრედიტი - ეპიდემიოლოგიური, ცხოვრების წესისა და ქცევების, ეთიკისა და საინფორმაციო -სამედიცინო სოციალური სისტემების მიმართულებებით. მესამე სემეტრში არჩევითი ბლოკის 36 კრედიტიდან სტუდენტი ირჩევს 12 ECTS კრედიტს. ამ ბლოკში ძირითადად წარმოდგენილია კლინიკური მიმართულებები.

პროგრამა ასახავს დარგის მიმდინარე ტენდენციებს, რომელიც გულისხმობს თანამედროვე, განვითარებულ ქვეყნებში ფარმაცევტების აქტიურ და ქმედით მონაწილეობას პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სამგისტრო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების იმ საფეხურს, რომელიც ღრმა და საფუძვლიან პროფესიულ ცოდნას აძლევს ამ დარგში დასაქმების მსურველ და შესაბამისი საბაზისო განათლების მქონე პირებს.

სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარები, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სასწავლო მასალის გამოყენება, ინტერაქტიული მეცადინეობები, სიტუაციური ამოცანები, სიახლეთა გარჩევა, მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა, კრიტიკული ანალიზი, ჯგუფური დავალებები, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (case study), ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობის მეთოდი, შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, პრეზენტაციების წარდგენა, პროექტი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

ვინაიდან პროგრამას აქვს ზოგადი სახელწოდება „ფარმაცია“ და წინაპირობებიდან გამომდინარე, რომლის თანახმად პროგრამაზე მიიღება საექთნო საქმის, ოკუპაციური მედიცინის, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის ბაკალავრები, მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი განათლების მქონე პირები, ის აუცილებელია მოიცავდეს ამ დარგის ყველა ფუნდამენტურ და ძირითად საგნებს. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები: ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოგნოზია.

თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არ შეცვლილა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ ფარმაცია’’
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>✓ რეკომენდებულია ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ფუნდამენტური სასწავლო კურსები: ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია" სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.<br>თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის |

შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც აღწერილია სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ სილაბუსში „ეპიდემიოლოგია და სოციალური კვლევის მეთოდები'' არ არის გაწერილი კურსის თემატიკა.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ფარმაციის დარგის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე, გამოცდილებასა და მიღწევებზე.

საქართველოს უნივერსიტეტის ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს „ფარმაციის" მაგისტრანტებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებს; სუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია"
- ✓ სასწავლო კურსის სილაბუსები
- ✓ სუ-ის ბიბლიოთეკის ფონდი

**რეკომენდაციები:**

- ✓ რეკომენდებულია სილაბუსში „ეპიდემიოლოგია და სოციალური კვლევის მეთოდები'' გაიწეროს კურსის თემატიკა

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხები

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტის ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს საგნობრივი სამეცნიერო კვლევები, საქმიანობა წარმართოს ფარმაცევტული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და როგორც ამბულატორიულ, ასევე ჰოსპიტალურ სერვისებში, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დაცვით განახორციელოს რაციონალური ფარმაკოთერაპია. თუმცა ბუნდოვანია რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას, რადგან პროფილური ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები არ არის წარმოდგენილი.<br><br>მაგისტრს შეუძლია აწარმოოს პროფესიულ თემებზე დისკუსია, წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის გადაცემა, პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და დაინტერესებულ პირთათვის.<br>ფარმაციის მაგისტრი დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეძლებს პრიორიტეტის განსაზღვრას სხვა და სხვა მიმართულებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:**<br><br>✓ რეკომენდებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები, შეესაბამება კურსის შინაარს და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში მოცემულია სწავლება/სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელების დროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული შემდეგი მეთოდები: ლექცია-სემინარები, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სასწავლო მასალის გამოყენება, ინტერაქტიული მეცადინეობები, სიტუაციური ამოცანები, სიახლეთა გარჩევა, მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა, კრიტიკული ანალიზი, ჯგუფური დავალებები, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (case study), ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობის მეთოდი, შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, პრეზენტაციების წარდგენა, პროექტი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს მაგისტრანტის მიერ საკვლევი მასალის მოძიებას, შეგროვებას, მის სწორ ინტერპრეტაციას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. რეფერატების მომზადება/პრეზენტაცია გამოავლენს მაგისტრანტთა თეორიულ უნარებს, რაც სამაგისტრო პროგრამის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამგვარად, კვლევითი კომპონენტის შესრულების შედეგად მაგისტრანტს: გამოუმუშავდება სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენცია (სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება, ჩართულობა ჯგუფურ და დამოუკიდებელ კვლევებში, შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია). ხოლო, რაც შეეხება დამოუკიდებელ მუშაობას იგულისხმება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების ათვისებისათვის დახარჯულ დრო და შრომა (სამუშაო დრო).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის შეფასება გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. გამოიყენება შეფასების თანამედროვე მეთოდები და შეფასების ფორმები.

სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

| შედეგების საშუალო | შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) | საუნივერსიტეტო შეფასება | საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება | |
|---|---|---|---|---|
